

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი

2020 წლის 21 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ლალანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ მუსაევი, ზესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტიანი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის

განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი, საინიციატივო ჯგუფის წევრები: თენგიზ სიმაშვილი, გოგა მთვარელიშვილი, ციური ბადურაშვილი, მოქალაქეები: თეიმურაზ ვახტანგიშვილი, ნიკოლოზ ვარდოშვილი.

### დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა განცხადების განხილვა ქ.თელავში, ე.წ. „გიგოს გორის“ ტერიტორიაზე რეპრესირებულთა მემორიალურ პარკის მოწყობის საკითხის განხილვა.

მომხს. დ. ლაღანიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ლაღანიძე

**მოისმინეს: 1.** ქ. თელავის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა განცხადების განხილვა ქ.თელავში, ე.წ. „გიგოს გორის“ ტერიტორიაზე რეპრესირებულთა მემორიალურ პარკის მოწყობის საკითხის განხილვა.

**აზრი გამოთქვას:** თენგიზ სიმაშვილმა აღნიშნა, რომ ქ. თელავის ისტორიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის მოვლენების დროს, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ძალისმიერი სტრუქტურების მიერ განხორციელებული რეპრესიები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1920-იან წლებში, ქ.თელავში აბანოს ქ.N1-ში მდებარეობდა ადგილობრივი ჩეკას შენობა, სადაც წარმოებდა დახვრეტები. შემდეგი ადგილი ქ. თელავის ტერიტორიაზე, სადაც მშვიდობიან მოსახლეობას ხვრეტდნენ და ხორციელდებოდა მათი დამარხვა ე.წ. „გიგოს გორის“ ტერიტორიის, როგორც საპარკო-სარეკრეაციო და რეპრესირებულთა მემორიალურ პარკად ქცევის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილ წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** მოწონებულ იქნეს მოქალაქეთა ინიციატივა და განხორციელდეს შემდგომი პროცედურები, რათა „გიგოს გორა“, როგორც რეკრეაციული ზონის მქონე ტერიტორია, იქცეს მემორიალურ პარკად.

**მოისმინეს: 2.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას. წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრება 37480,47 ათ.ლარით. ნათია ვაყელიშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის ძირითადი მოტივი მდგომარეობს 2020 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის ნაწილის ასახვაში, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის (970,0 ათ. ლარი) და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის 478,0 ათ. ლარის, როგორც შემოსულობებში, აგრეთვე გადასახდელებში ასახვას.

გოჩა წაწალაშვილი დაინტერესდა, მოხდება თუ არა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფ. კონდოლში დაწყებული სკვერის დასრულება, აგრეთვე მოეწყობა თუ არა სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათება.

დავით ქსოვრელიშვილის თქმით მიღებული რეკომენდაციის მიხედვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამებით აღარ განხორციელდება სასაფლაოების შემოღობვა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების კეთილმოწყობა. რაც შეეხება დაწყებულ პროექტებს, ისინი განხორციელდება.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



დავით ლაღანიძე